№ 166

ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 166

ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 1898 წ.

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ნიკანორ ერმოლაევი, მაგდან იანქოშვილისა და აარონ იანქოშვილი** შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—მეუღლისას, მეორე დედისას და მესამე სიდედრისას

## ანნა ივანეს ასულისას

(ზუკაკიშვილის ქალისას).

მიცვალებულს გაასვენებენ დღეს, 5 მარიამობისთვეს, დილის 9 საათზედ თავის სადგომიდგან, კვირაცხოვლის ქუჩაზედ, საეკკლესიო სახლიდგან ანჩხატის ეკკლესიაში. (1—120—1)

---

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანახმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაცა კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება. ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ.

ქალაქ-გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:

თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე. . . . . 1— „

თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . „—50

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . „—10

ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . „—20

თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I ტომი . . . . . „—70

იგივე II ტომი. . . . . „—60

იგივე III ტომი . . . . . „—60

იგივე IV ტომი (ორ წიგნათ) „—80

სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა. . . . . . „—10

თხზულებანი აკაკისა I ტ. „—60

„ „ იგივე II ტ. „—60

თხზ. რ. ერისთავისა I ტ. „—60

არაკები საბა ორბელიანისა, ბავშებისათვის . . . . „—25

სიბრძნე-სიცრუვე მისივე . . „—40

საქართველო და მისი წარსული დრო ბოტტოსი . . . „—20

აივენგო ვალტერ სკოტისა „—50

აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . . . . „—15

გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით „—15

სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა . . 1—20

ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . 1—50

ბალავარი . . . . . . . „—30

ცეცხლითა და მახვილითა . . „—80

დასტურ-ლამა . . . . . . „—10

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობათ 14 მანეთათ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯსაც გამოგზავნიან ერთს მანეთს.

ამ ფასებად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსულის წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—7 მანეთად და 1896 და 1897 წ. წ.—5 მანეთად. მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე“-ზედ ფოსტის ხარჯად 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (10—6—10)

---

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის, ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

---

პარასკევს, 7 აგვისტოს,

საზაფხულო თეატრში (მიხეილის ქ. იუნკრის სკოლის პირდაპირ)

**ზ. მ. საფაროვი** სცენის მოყვარეთა დახმარებით დასდგამს

## მზის დაბნელებას

კომ. 3 მოქმ. ანტონოვისა

დასასრულ იქმნება **დივერტისმენტი, ლეკური** და **ბუნდოვანი** სურათები.

ადგილების ფასი 10 კაპეიკიდგან —1 მან. 50 კაპეიკამდე. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (2— უ.—1)

---

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა რაჟდენ ტკაბლაძე ბორჩხის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონად; მახვილაძე—იმიერ კასპიის კრასნოვოდსკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონად; ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელი ქუთათელაძე—ჩარჯუის ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტალიონად; სალარაძე, გვარამაძე და კეთილაძე—კრასნოვოდსკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონებად.

გადაყვანილ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელე მაკალატია—ბათუმის ოლქის სამმართველოში თარჯიმანად; ახალქალაქის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის მოხელე ილარიონ კურტემიძე—ზემო-აკუღისის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებაში და იოსებ რუსიაშვილი—ტფილისის სატელეგრაფო სადგურზედ.

## ახალი ამბავი

*** უწმ. სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორამ უკვე მიიღო სინოდიდგან ბრძანება ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის მამა სერაფიმის ოსტროჟსკის ეპისკოპოსად დანიშვნისა და ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის არქიმანდრიტის მამა გერმოგენის ამავე სემინარიის რექტორად დანიშვნის შესახებ.

*** ქალაქის გამგეობამ იმათ, ვისაც სურთ ტფილისის ელექტრონით განათების საქმე იჯარით აიღონ, განცხადების შეტანის ვადად 17 აგვისტო დაუნიშნა.

*** ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება 24 აგვისტოს. თავისუფალი

---

# ფელეტონი

### იახში ხანუმ!

(ეტიუდი)

მიჰქრის ეტლი ქუთაისის ქვიანს ქუჩებზედ. მიჰქრიან ყურებ-დაწურული ცხენები, თითქოს მიწაზედ ფეხს არ აკარებენო. მეეტლე ძლივს იმაგრებს ჰენების ეშხზედ მოსულს მერნებს... მიჰქრის ეს ეტლი და ამას სხვაც რამოდენიმე მისდევს უკან გაშმაგებით. აგერ გაუხვიეს ჯაჭვის ხიდისაკენ და „ფერმის“ თავ-დაღმართისაკენ დაეშვნენ.

რიხ-რიხ-რიხ... ეტლი შეჩერდა „ფერმის“ ბჭის კართან. „კავალრები“ მარდად გადმოვიდნენ ეტლებიდგან და თავიანთ „გულის წაწლებს“ გადმოყვანა დაუწყეს... პირველ ეტლთან ხუმრობით ცილობა ასტყდა.

— შენ არ მომიკვტე, ვარდენ, ახლა ჩემი რიგია; პელაგია მე უნდა გამომყვეს „პოდრუჩკით“... აქამდის ხომ სულ შენ ჰკავალრობდი...

— კი, მაგრამ კავალრის როლი ჯერ სრულებით არ შემისრულებია; დამითმე რომ მთელი ეს დღე მე ვიყო პელაგიას რაინდი და ბოლომდინ გამოვცალო იმ ნეტარების ფიალა, რომელიც პელაგიასთან მყოფ კაცს მუდამ ხელთ გიკავია...

— ა-ბატონო, მოყვა ვარდენი თავისებურ პოეტურ შედარებებს...

— ყმაწვილებო, ნურას უკაცრავად, მე ეხლა ალიოშას მინდა გავყვე... და გაუწოდა თვისი მოხდენილი ხელი საცილობელმა პელაგიამ მეორე ეტლიდან გადმომხტარს ერთს მშვენიერს, მწყაზარს ყმაწვილს.

— უო, უუ!.. შეიქმნა საერთო სახუმარო დაცინება, სიცილ-ხარხარი და „კამპანია“ გაუდგა ლამაზად გამოყვანილს ბილიკს ყვავილ ბალახებით გარშემოზღუდულს. ეს იყო საღამო ჟამს, როდესაც ქუთაისის მიდამოს გორაკებს მზე წითლად წვერს ულებავდა და იქაურობას უკანასკნელს, მაისებურს ნაზსა და წარმტაც სალამს უძღვნიდა.

რიონის ზემოთ, ბეგზე გადამდგარს თალარეშოში მალე გაისმა ამ კრების მხიარული სიცილ-კასკასი და მალეც თეთრი სუფრა, სასმელ-სანოვაგით აჭრელებული, ამ ფარდულში კოხტად დამშვენდა.

სალაღობოდ გამოსული ყმაწვილკაცობა შეუდგა მხიარულებას. უკანასკნელ მოდაზე მორთულ-მოკაზმული ქალები და ჩვენი ჩოხოსან-სერთუკოსანი უდარდელი ახალგაზდობა ლხინს მიეცა და სტკბებოდა ერთ-ურთის გართობითა, მაგრამ მაინც ამ ნადიმის დროს, ყველასაგან საყურადღებო პელაგია იყო. ყველანი მას თავს ევლებოდნენ, ყველა იმის სიტყვას ხარბად ისმენდა, ყველა იმის ბრძანების ასრულებას სცდილობდა, ყველანი იმას შესცქეროდნენ თვალწარბში. ერთი იმისი ბროლივით თეთრი კბილების გამოჩენა გასაცინებლად და მთელი კრება სიცილ-ხარხარით გადიქცეოდა ხოლმე; ერთი იმისი ბაგეთა წყენის ნიშნად მოკუმვა და სამარის გვარი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. ერთის სიტყვით, ის იყო ჩარხი ამ პაწია წრისა და იმის მიბრუნ-მობრუნებაზე იყო დამოკიდებული მათი მოწყენაც და მხიარულებაც. ვერ ვიტყვი, რომ ეს ამბავი სხვა „დამებს“ მაინცა და მაინც მოსწონდათ-მეთქი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მბრძანებელს არაფრის არ უნდა ეშინოდეს, როგორც ამ გვარ მბრძანებლის შესაფერს ქვეშევრდომებსა. პელაგია-კი ერთი ასეთი უშიშარი მბრძანებელთაგანი იყო და ერთი ეს „კავალრებიც“ ამ ღირსეულის უფროსის ღირსეულნი ყურ მოჭრილნი მონანი.

— დევილუპეთ, ვარდენ, ალიოშა თლათ გადაგვირია პელაგიამ. თვითაც არ იყო ძმარიო, შიგ შეერია... ოჰ, უკაცრავად!...

— ვეე, ეგ გლახა შედარება მოგივიდა სიკო! აბა რითი გავს პელაგია წყალს?..

— ვაა, შე სულელო, მე სხვაფერ მევიხადე ბოდიში, თვარა წყლის შედარება რა ცუდია... წყალივით, ანუ უკეთ წყაროსავით წმინდა და ანკარა ქალი ძვირად იქმნება და პელაგიაზე თუ ასე ვთქვი, მადლობის ღირსი ვარ... ამას გარდა წყარო ცქრიალაა, დაუდრგომელი, სულ ჩუხჩუხებს და პელაგიაზე უფრო დაუდგრომელი აპა რომელი ნახე შენ...

ა?.. ასე გახლავს, ჩემო ბატონო, მაგრამ ალიოშას საქმე, შენ არ მომიკვტე, ძალიან მწყინს.

— აპა!—რა კაი ყმაწვილი იყო, საწყალი!—წყნარი, თავ-დაბალი, პატიოსანი... ეხლა ქე არ გადირევა უბედური!..

— ნუ გეშინია, არც ისე სუსტი ბაღანაა... პირ-იქით... ხომ იცი: „въ тихомъ болотѣ черти водятся“-ო.

— კნიაზ ალექსანდრ, „ეს ძაან გულაობენ თქვენს ხარჯზე!„ ჩაურია სიტყვა პელაგიამ...

— რა ვუყოთ, შენი ჭირიმე, სოფელში რომ გეიარ, ძაღლი ბევრი ყეფს, მაგრამ ყველას-კი არ უნდა მიაქციო ყურადღება; საქმე მასპინძლის ძაღლია, მასპინძლის... იმან არ უნდა შემოგიყეფოს...

— ბრავო, ალიოშა, ბრავო!.. მარა, აბა სიმღერა!—შენი ჭირიმე პელაგია, ერთი „აღმართ, აღმართ!..“

— აა, „აღმართ, აღმართ“, „აღმართ, აღმართ“—შეიქმნა „ღაღადისი“. და გაისმა ზაფხულის წმინდა, შეუმწიკვლელს ჰაერში ქალის ნაზი, წკრიალა ხმა... პელაგია მღეროდა გატაცებით...

— იახში ხანუმ!.. დაიგრიალა გათავებისას ყმაწვილობამ.

— გაუმარჯოს პელაგიას, გაუმარჯოს!.. ექსტრა, ექსტრა,—და ხელ-ახლა ჭიქები სავსე, ხელ-ახლა „მრავალ-ჟამიერ“ და სხვ.

— იახში ხანუმ?!.. ეს ვინა სთქვა?—დაეკითხა ალიოშა გარშემო

ადგილია მხოლოდ მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში და მე-V და VII კლასშია.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ქალაქში სულ 274 ბაღი ყოფილა. ამ ბაღებს სულ 258 დესეტინა და 98 ოთხ-კუთხი საჟენი ალაგი სჭერიათ. ამას გარდა კიდევ ყოფილა საეკკლესიო 2 ბაღი, სახელმწიფო—4 და ქალაქისა 2, რომელთაც 31 დესეტინა ალაგი სჭერიათ. ბაღების შემოსავალი წელიწადში 65,000 მანეთამდეა.

*** შაბათს, 1 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის მოხელეთა მიერ არჩეულმა კომისიამ, რომელმაც მამული უნდა შეიძინოს ამ მოხელეთათვის სახლების ასაგებად, დაათვალიერა ვერაზედ ნუგზაროვის მამული. ეს მამული შეიცავს 5 დესეტინას და მდებარეობს ვერის ბაღების მახლობლად. თუმცა ბ-ნი ნუგზაროვი თანახმაა შეღავათიან ფასად მისცეს მამული, მაგრამ კომისია ჯერ-ჯერობით არ მოჰრიგებია, რადგან ბევრმა სხვა მემამულემაც განაცხადა სურვილი, რომ იაფად მოგყიდით მამულსაო. კომისიამ ამის გამო დაადგინა, ვიდრე მოლაპარაკებას დაიწყებდეს რომელიმე მემამულესთან დაათვალიეროს ყველა მამული.

*** ტფილისის გუბერნატორმა მიჰმართა შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვა, რომ ბეითალთა რიცხვი გამრავლებულ იქმნას ტფილისის გუბერნიაში, ასე რომ გუბერნიის ყველა პოლიციის განყოფილებაში თითო ბეითალი მაინც იყოს დანიშნული. ამის გარდა თ. ა. ბიკოვმა სთხოვა ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გადადებულ იქმნას კიდევ ათასი თუმანი იმ მსხვილ ფეხა ჭირიან საქონლის პატრონთა სასაჩუქროდ, რომელნიც ადმინისტრაციის განკარგულებით დახოცილ იქმნებიან.

*** ერევნის გუბერნიაში და ყარსის ოლქში საქონლის ჭირი გაჩენილა. ამიტომ აზრადა აქვთ იქ ორი ბეითალი გაჰგზავნონ.

*** ამ ჟამად ქალაქის თვით მართველობამ დაიქირავა ბეჟოევის სახლი, მე-10 ნაწილში, მეფე ირაკლის სახელობის მესამე სასწავლებლის მოსათავსებლად.

*** ამ დღეებში დაამთავრებს მუშაობას საბჭოს აღმასრულებელი კომისია და წეს-რიგში მოიყვანს მე 4 ნაწილის უძრავ მამულების დაფასების ქაღალდებს. უკვე გამოირკვა, რომ მხოლოდ ორის ნაწილის მცხოვრებელთ ქალაქს უნდა აძლიონ სახლების დაფასების გარდასახადად 12000 მან. მეტი შარშანდელზედ.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა: ტფილისის გამგეობა შეეკითხა ამერიკელ ამხანაგობის აგენტს ვარტინგტონს, რომ როდისთვის იქმნება დამზადებული ჩვენ მიერ ავჭალის წყლის მილისათვის შეკვეთილი ტუმბოებიო. რაკი გამგეობამ მეტის მეტად გაუკებარი პასუხი მიიღო ამ დღეებში, ამიტომ დაადგინა გაჰგზავნოს ტეხნიკოსი ს. ა. მუხარინსკი პეტერბურგში ამხანაგობის აგენტ ვარტინგტონთან იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, რომ ჰკისრულობს თუ არა ამხანაგობა ტუმბოების დამზადებას და თუ არა ჰკისრულობს, მაშინ სხვა რომელსამე ამხანაგობას შეუკვეთოს მათი დამზადება.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ კავკასიის პირველ საბაღოსნო კრების თავმჯდომარედ დაამტკიცა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულტან-კრიმ-გირეი, თავმჯდომარის ამხანაგად ბ-ნი ვ. ი. ლისნევსკი და მდივნად გ. ი. გოგოლ იანოვსკი. კრების საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ საბაღოსნო საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარე ნ. ნ. შავროვი, იმისი ამხანაგი ნ. ნ. სპეშნევი და გამგეობის წევრები: ა. ა. გინცბერგი და ვ. პ. ივანოვი.

*** გუშინ ტფილისში სამი კაცი აღმოჩნდა ყვავილით ავადმყოფი: ერთი ლაბორატორიის ქუჩაზედ, მეორე ბანკის ვიწრო ქუჩაზედ და მესამე—საპიორების ქუჩაზედ.

*** ამ ახლო მომავალში, განსაკუთრებულ კომისიას აზრადა აქვს გამოსაცდელად აუცრას საქონელს ჭირი, რომ გაიგოს რამდენად სასარგებლო იქნება ამ გვარი აცრა. გამოცდა მოხდება ატენის ხეობაში. კომისიის წევრებად დანიშნულ იქნებიან წარმომადგენელნი: საექსპერიმენტალო მკურნალობის ინსტიტუტისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ საბეითალო გამგეობისა, სამხედრო წოდებისა და ტფილისის საგუბერნიო გამგეობისა.

*** უკვე კაი ხანია რაც საზამთრო და ნესვი შემოიტანეს ქალაქში გასასყიდათ. პირველ შემოსვლაზედ ისე ძვირადა ჰყიდნენ, რომ მოვაჭრეებს ბევრი გასასყიდი რჩებოდათ. ნამეტნავად მეწვრილმნების დუქნებში ბევრი ნესვ-საზამთროა დარჩომილი. ეხლა მოვაჭრეები, რასაკვირველია, იმასა სცდილობენ, რომ პირველ მუშტარს მოახვიონ თავზედ ეს უვარგისი და დაბეჟილ დაეთქვილი ნესვ-საზამთრო. თუ გაჰბედა მყიდველმა და უკან მიუტანა, ვაი იმის ბრალი! ან ლანძღვაგინებით უკანვე გააგდებენ, ან არა და დიდს უარზედ დადგებიან, ჩვენგან არ გიყიდნია, პირველადა გხედავთო და სხვა. ბევრი ისეთი ღარიბი ხალხია, რომ გულითაც რომ უნდოდეთ ორს და სამს საზამთროს ვერ იყიდის და უნებურადა სჭამს ნასყიდს ნესვ-საზამთროს, რომელიც ან მკვახეა და ძველი, ან დაეჟეჟილ-დაბეჟვილია და ან დამპალი. საკვირველი არ არის ამის შემდეგ, რომ ამგვარის უვარგისის ნესვ-საზამთროსაგან ხალხი ავად ხდებოდეს მუცლის ტკივილითა და ფაღარათობით, საჭიროა ამიტომ, ქალაქის სანიტარებმა და ექიმებმა ყურადღება მიაქციონ, დაიარონ ხოლმე დუქნები და დამპალს და უვარგისს საზამთროს თავისი გზა უჩვენონ. ნამეტნავად საჭიროა მივარდნილ ადგილების დუქნების დათვალიერება, სადაც საზამთრო ორი-სამი კვირა აწყვია დუქანში და ფუჭდება.

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ საგუბერნიო სამმართველომ განსახილველად მიიღო სოხუმელების თხოვნა, რომელიც მიურთმევიათ კავკასიის მთავარმართებლისათვის, რომ ქ. სოხუმში დაარსებულ იქმნას ნავთ-სადგური და რკინის გზა იქმნას გაყვანილი ამიერ-კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რკინის გზასთან შესაერთებლადაო.

*** გაზ. „Рус. Л.“ სწერს, რომ მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ხელი მიჰყოს კავკასიის ტყეებიდგან ხე-ტყის გამოზიდვის საქმესაო. ამ აზრით სახელმწიფო ტყეებში რიგიანი გზები იქმნება გაყვანილი ხე ტყის საზიდად, რადგან უკვე არსებული უხეირო გზები არ გამოდგება ამ საქმისათვისაო.

*** გაზ. „Чер. Вѣст“. სწერს, რომ რუსეთის სანავოსნო საზოგადოების გემით ამ დღეებში გაეგზავნა სოხუმის ოლქის დ. გუდაუთს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-მაიორი ა. ა. სამოილოვი, რომლის ხელმძღვანელობითაც იარაღი აეყრებათ გუდაუთის ნაწილში მცხოვრებ აფხაზთ. ამ აზრით გემითვე გაგზავნილ იქმნა გუდაუთს კურინის მე-70 ქვეითა რაზმის ერთი ბატალიონი, რომელსაც გუდაუთში შეუერთდება 50 ყაზახიო.

*** ქ. სიღნაღი. 30 ივლისს სომხურს ენაზედ წარმოადგინეს კომედია თარხნიანისა „სტუმრის ლოდინში“, თითო მოქმედებიანი ფარსი სუნდუკიანცისა და პასულადინცისა. წარმოდგენის დროს ანტრაქტებში, სხვათა შორის, მღეროდნენ ქართულად. წარმოდგენა გამართული იყო საქველ-მოქმედო აზრით.

*** სოფ. ალაგირი. 29 ივლისს შემდეგი უბედურება მოხდა. ადგილობრივს მცხოვრებელს სპირიდონ ლიპილინს თავზედ ნავთი გადაესხა და ცეცხლი მოეკიდა. ცეცხლი მოედო თუ არა ტანისამოსზედ, გარეთ გამოვარდა და ყვირილი დაიწყო. ყვირილზედ ხალხმა თავი მოიყარა და რის ვაივაგლახით ჩააქრო ცეცხლი, მაგრამ ისეთ ნაირად [illegible] დაშავებული ლიპილინი, რომ მორჩენის იმედი აღარა აქვთ.

*** სოფ. გლდანი, (ტფილისის მაზრა). ამ ჟამად ადგილობრივ მემამულეთ განიზრახეს თავიანთ მამულის გეგმა შეადგინონ, რამდენსამე ნაჭრად გაჰყონ და მსურველთ მიჰყიდონ საავარაკო სახლების ასაგებად. მემამულეთ არც კი დაეწყოთ მამულების ნაჭრებად დაყოფა, რომ რამდენიმე კაცისაგან წერილები მოუვიდათ, ჩვენ მოგვყიდეთ მამულიო. ერთმა ოდესელმა კაპიტალისტმა განიზრახა მთლად თითონ შეისყიდოს გასასყიდად გადადებული მამული. რა კი ამ გვარად ბევრსა ჰსურს აქ მამული შეიძინოს, მემამულეთ ფასებს აუწიეს (კავ.).

*** დაბა ბელაგორი. პირველ აგვისტოს, ნაშუადღევის ესე 3—$3^1/_2$ საათზედ აქაც იყო მიწის ძვრა. მიწის ძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბევრგან მძინარე ხალხი ტახტიდგან გადმოგორდა, დუქანში ბოთლები გადმოცვივდა, ერთი უბრალო, პატარა სახლი გვერდზედაც-კი გადაწვა. ბევრგან შეშინებული ხალხი სახლებიდგან გარედ გამოვარდა, ეგონათ რაღაც ამბავიაო, მაგრამ შემდეგ ყველა მიხვდა, რომ მიწის ძვრა იყო.

*** ს. ანაგა, (სიღნაღის მაზრა). უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა 26, 27 მკათათვეს სამი ანაგელი ყმაწვილი; ორი დაირჩო მდ. ალაზანში და ერთი გასრისა ურემმა. ერთი ყმაწვილი დაირჩო ბანაობის დროს; ხოლო მეორეს ალაზნის ფონზე გადაჰქონდა თურმე ცალიერი ურემი, რომელშიაც ება ყევარი საქონელი. ურემი დასცილებია ფონს, წყალს თვლები გამოუცლია და ცალკე დარჩომილა უღე. გადმობრუნებულა უღე და ყმაწვილი ქვეშ წყალში მოქცეულა. მესამე ყმაწვილს მიჰქონებია თვით სოფელ ანაგაში გზა-ტკეცილზედ ძნის ურემი, ჩამოსულა უღმიდამ და საპონი წაუსვამს

---

მსხდომთ, როდესაც ცოტათი დაწყნარდენ.

— ეგ პერაგიას ნათქვამია... გუშინ სერაფიონისას ვიყავით სადილად ამ ეხლანდელი კენჭის ყრის გამო. ჰქონდა წვეულება და ეგ იქ წამოსცდა, მგონი ვიღაც ქალს უთხრა მოსწრებულად, მაგრამ ისე შნოიანათ-კი მოუვიდა, რომ ყველანი გადავირიეთ.

— აბა ეხლაც თქვით, ეხლაც, პელაგია!.. იხვეწებოდა ალიოშა.

— ეხლა რა აზრი აქვს?! ის მაშინ ისრე მომიხდა...

— არა, სთქვით, სთქვით!—აჴრიალდენ ყველანი.

— იახში ხანუმ!.. წამოიძახა პელაგიამ, მაგრამ ეს ორი სიტყვა, მართლადაც ისე ხელოვნურად წარმოსთქვა, ეგრე ხმის გაპარებით, ეკეთის თვალის გასარსალებით და ბაგე-კბილის ცბიერის გამომეტყველებით, რომ მართლაც გულ-წრფელი იყო ყმაწვილების დასტალუღი: ბრავო, ბრავოო.

ალიოშა გადაირია. სულ სხვანაირათ მოხვდა ეს სიტყვები იმის ყურებს. მაინც პელაგიას სახე იმისაკენ ჰქონდა და თითქოს მთელი მაგნეტიური ძალა ამ სიტყვებისა მხოლოდ იმისკენ იყო მომართულიო. შეატყეს ალიოშას ეს მდუმარე სიშმაგე და თითქო იმიტომ წამოიძახესო ეს სიტყვები:

— მაშ, ჩვენი წარმტაცი ფეია ეგ არის!

— ჩვენი ღვთაება პელაგიაა!

— ჯადოსანი და მომხიბვლელი!

— მაგან გაგვაყერჩეჩა, ბატონო, მაგან!.. მაგას რომ არ მოენდომებინა. აბა ნ... ამდენ პარტიას რაფერ იშოვნიდა.

— კი, ბატონო, კი—მისცა ბანი სიკომაც—თუ თეთრში მივცემთ ზეგ ნ...ს პელაგიას გამოისობით. აპა!

— მართლა, ყმაწვილებო, ხუთშაბათს ხომ ცოცხალი სურათებია! აპა მაშინ კი დავცხებთ ბრავოს... პელაგია ხომ ნესტან დარეჯნათა გვყავს?..

— თქვენ, ანიჩკა, თინათინი ბრძანდებით, არა?..

— კი და კოწია კიდევ ავთანდილი.

— ო, ღვთაებრივი სურათი იქმნება, ღვთაებრივი, ხომ სიკო?—მიუკომპლიმენტა ვარდენმა.

— იახში ხანუმ! ა?.. პელაგიას ყურთან ჩუმათ წაიდუდუნა ალიოშამ.—რატომ ეგეთი წარმტაცი ხართ!..

„მაადლობელი ვართ!..“ პასუხის მაგივრათ დაარაკრაკა პელაგიამ და მიბნედილის თვალებით მომღერალმა ალიოშას დაუწყო ცქერა, თითქო მხოლოდ იმას ეუბნება მადლობასო.

— ო, რა ხართ, რა?.. ფერია? ჯადოქარი? კიდევ ერთი „მადლობელი ვართ“, კიდევ, შენი ჭირიმე!.. ეჩურჩულებოდა ალიოშა და კვლავ გაისმა პელაგიას ნაზი ხმა უფრო დიდის გატაცებითა...

ასე ლხინობდნენ და შეექცეოდენ, სანამ არ გაისმა პელაგიას ახალი ბრძანება:

— ყმაწვილებო, გეყოფათ, ეხლა კი წავიდეთ. ყველანი წამოიშალნენ და ალიოშაც პელაგიასთან ხელ-გაყრილი ფერმის ჩუმ და ყრუ ბილიკებში მარტო გაემართა ბჭის კარისაკენ.

— არ ვიცი რა გითხრათ, პელაგია, თქვენ გამაშტერეთ.. მიყვარხართ-მეთქი, რომ გითხრათ, მეტათ უბრალო სიტყვა იქნება... მიყვარხართ კი არა, მე თქვენ... აა, არ ვიცი რა გითხრათ... მეთქვემენ... თქვენ...

— ყმაწვილო კაცო, ხომ არ აჩქარებულხართ! ეგრე უცბად საიდგან შეგიყვარდით... თქვენ ღვინო გალაპარაკებთ...

— აა, პელაგია, ნუ შეურაცხებთ ჩემს გრძნობას... მე გულ-წრფელი კაცი ვარ... ვერას დავმალავ... მეტი არ შემიძლია...—ალიოშამ აიღო პელაგიას მარჯვენა ხელი და მხურვალედ აკოცა...

— ციც!.. მაგრამ ხელი-კი მაინც გააყოლა პელაგიამ.

— მიპატიებია! ხვალ-კი უფრო კარგად მოვილაპარაკოთ... აგერ ფაიტონთან მივედით კიდეც...

— პელაგია, რას გვიშვრები მაგას! ნუ მოგვტაცე ეგ ყმაწვილი კაცი... შენ არ მომიკვტე, ჩვენც უნდა ჩაგიჯდეთ ფაიტონში... მარტო შენ და ალიოშას არ გაგიშვებთ;—მოისმა ყმაწვილების ხმა და ყველანი ბჭის კართან მოგროვდნენ...

დადგა კენჭის ყრის ციებ-ცხელების დღე და ქუთაისის განთქმული ბულვარი აივსო სულ მეკენჭეებით. გროვა, გროვა იდგა საზოგადოება და გაცხარებული ბაასობდა. ზოგან ლაპარაკში იმერული გულ-ფიცხობაც შემორეულიყო და ხანჯლებს ჯოტა უკლდათ ჰაერში გაელვარებულიყვნენ... მაგრამ ყველაზე უფრო თვალში ის მოგხვდებოდათ, რომ ერთი თეთრი კაბა, თეთრისავე „შლიაპით“ ლამაზ ქალის შემმოსველი, ხან აქ გამოკრთებოდა და ხან იქ, ციცინათელასავით. ეს იყო პელაგია, რომელსაც ჩრდილივით უკან დასდევდა სიარულით ძალზე დაქანცული ალიოშა. პელაგია ერთ-ორ სიტყვას ამ გროვას ჩააწვეთებდა, ერთ-ორს მეორეს მიაკერებდა, ერთ-ორს კიდევ მესამეს მიაწებებდა და ამგვარად ბევრგან თავისი გაჰქონდა. ეს იყო ნამდვილი „პროპაგანდისტკა“, ნამდვილი მქადაგებელი, მხოლოდ მოკვეცილისა და მოსწრებულის სიტყვისა-კი. თანაც ეჭირა ხელში რაღაც სათეატრო ბილეთები და გამვლელსა და გამომვლელს ყველას აჩეჩებდა... ან და რამდენი ნაცნობი ჰყავდა! წარჩინებულ მოხელე და თავადიდან დაწყებული უკანასკნელ კიკინებიან ლაქუცა ურიამდის... ყველა მას თავს უკრავდა, ყველა შესციცოდა და შეიძლება უმეტესი ცბიერებითაც, მაგრამ მაინც ყველა თავს ევლებოდა.

(დასასრული იქნება)

ურმისათვის. რა გაუთავებია საპნის წასმა, ყმაწვილი ურემ ქვეშ გაწოლილა იმ აზრით, რომ ურემი წინ წავა და გამცილდებაო, მაგრამ საქონელს უცებ ურემი გვერდზე მოუტრიალებია და თვალს ყმაწვილისათვის ზედ გულზე გადაუვლია. წყალში დაღუპულ ყმაწვილების გვამები სამი-ოთხი დღე ეძებეს და იპოვნეს მხოლოდ ერთის გვამი, მეორეს ჯერ კიდევ ეძებენ.

⁂ სოფ. სართიჭალა, (ტფილისის მაზრა). კარგა ხანია აქეთ დანავარდობდა და ყაჩაღობდა ციმბირიდგან გამოქცეული სამი თათარი: ჰაჯი-უსუფ-ოღლი, ასკარ-იოჩი-ოღლი და ალაკპარ-ქალ-ბალი-ოღლი. ამ თათრებს ბინა ს. მუღანლოში ჰქონდათ, სადაც მათ თავიანთი ნათესავები ინახავდნენ. ადგილობრივი ბოქაული ნაცვლიშვილი დიდი ხანია სცდილობს იმათ დაჭერას და 2 აგვისტოს ერთი მათგანი კიდეც გამოასალმა წუთი სოფელს. 2-ს ამა აგვისტოს, გათენებისას, ბ. ბოქაული ყაზახებით, ურიადნიკებით და ჩაფრებით ჩაესაფრა ყაჩაღებს კნ. დადიანის წისქვილებთან; ამ დროს დაინახა, რომ შეიარაღებული ბერდანით ერთი თათართაგანი მორბოდა, სახელდობრ ასკარ-იოლჩი-ოღლი, ბოქაულმა დაუძახა: დადექიო, აი ვდგებიო, უპასუხა ყაჩაღმა და სროლა დაუწყო; თათარმა ისე დაუშინა ტყვი;, რომ ბოქაული იძულებული გახდა თვითონაც ესროლა.— სროლის უმალვე მოარტყა გულში და ყაჩაღი იქვე გაგორა; შემდეგ ერთმა ყაზახმა კიდევ მოარტყა ტყვია დ ყაჩაღმა სული დალია. ყაჩაღს ზედა ჰქონდა ტყვიების ჩასაწყობი 35 ტყვიით და ახალი ბერდანკა. მოკლული ყაჩაღი მშვენიერი ახალგაზდა და წამოსადეგი ვაჟკაცი იყო. ბოქაული მაშინათვე გაემართა დანარჩენების დასაჭერათ, მაგრამ არ ვიცით, დაიჭირა თუ არა.

⁂ ტფილისის პირველ ნაწილის მცხოვრებლების თხოვნა, რომ გაგვანთავისუფლეთ ქუჩების დაგვა-დაწმენდის მოვალეობისაგანაო, არ შეიწყნარა ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ.

⁂ 3-ს აგვისტოს, საღამოს $6^1/_2$ საათზე, გოლოვინის პროსპექტზედ შემდეგი ახირებული ამბავი მომხდარა. პროსპექტზედ გამოვლია ესტატე ბროძელს, ტიგრან ვართაკოვს და გლეხს დავით ხეთაშვილს. „როსიის“ სასტუმროსთან შეხვედრია მათ რაჭის მაზრის მცხოვრებელი პართენ ილიას ძე ყიფიანი, რომლისთვისაც ბროძელს უჩვენებია მთელი ბღუჯა უბრალოდ დაჭრილი ქაღალდი და უთქვამს: „აი ეს ყალბი ფული დამრჩა და შენ იყიდეო“, ყიფიანს ყიდვის მაგივრად უძვრია ხანჯალი და ბროძელისთვის მარცხენა ყური მოუჭრია. ბროძელი პოლიციას საავადმყოფოში გაუგზავნია, ხოლო ყიფიანი შეუპყრია.

⁂ ამ ჟამად უკვე მოისპო საქონლის ჭირი ახალციხის მაზრაში. იმ მემამულეთ, რომელთა ჭირიანი საქონელიც მოკლულ იქმნა, ჯილდოდ დაურიგდათ 1,000 მან.

⁂ ტფილისის გუბერნიის მკურნალი ბ-ნი ტ. ს. ქიქოძე ამ დღეებში გაემგზავრა ტფილისის მაზრის სასოფლო-სამკურნალო თავშესაფარების დასათვალიერებლად.

⁂ ამ ჟამად სოფ. ყაზბეგში გავრცელებულია ბავშვების ავადმყოფობა წითელა. თითქმის 50 ბავშვია ავად ამ სენით.

—

**შეცდომის გასწორება**. გუშინდელ გაზეთის ახალ ამბებში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, რომ „კავალერიის“ გენერალს თავ. ი. გ. ამილახვარს განზრახვა აქვს თავისს ხარჯით წყალი გაიყვანოს გორის საპატიმროშიო“, უნდა იყოს გორის ციხეში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ჯიმითი**, (სიღნაღის მაზრა), 26 ივლისი. მართალია საზოგადოდ სოფლის ცხოვრება მარტივია, ჩვენის უკანასკნელის სოფლებისა ხომ კიდევ უმარტივესია, მაგრამ ამ ცხოვრებასაც თავისი ავი და კარგი აქვს და ღირსია ყურადღებისა. სამწუხაროდ ავი ამ ცხოვრებას მრავალი აქვს, კარგი-კი მეტად ცოტა. ამ მხრით ჯიმითი შესანიშნავი სოფელია: მას შეუძლიან სიავით იამაყოს და თამამად თავი მოიწონოს, თუკი ამით თავის მოწონება შესაძლებელია. იგი უკან თუ არა, წინ მაინც არ მიდის. ან-კი რა წაიყვანს წინ? არავითარ ცოდნას, არავითარ ხელობას, არავითარს ცხოვრების გასაუმჯობესებელ საშუალებას თქვენ აქ ვერ ნახავთ, უბრალო ხელის მომწერიც სანთლით სამებნელი გამხდარა, ასე რომ ხშირად სასამართლოდან რომ უწყება მოდის, სასამართლოშივე მიდის გლეხი, რომ გაიგოს რა სწერია ამ უწყებაში.

როცა მოხუცებულნი ძველს ცხოვრებას აწმყოს ადარებენ, აი რას ამბობენ: „სადღაა ის ღვთისა და კაცისაგან დალოცვილი ოჯახი, რომლებშიაც სიმდიდრე დუღდა და გადმოდიოდა, რომელსაც ორ-ორი გუთნეული ება, სობით ძროხასა და კამეჩს ითვლიდნენ და ათასობით ცხვარსა და ღორს? მარანი და ბეღელი წლითი-წლამდის სავსე ჰქონდა; ერბო, ყველი და ხმელი თევზი გამოულეველი იყო; სახლი მკირფასის ხალიჩებით და ფარდაგებით მორთული იყო და სხ. ყველა ეს გაქრა „ვითა სიზმარი ღამისა“ და ეხლა ძველის ოჯახის შვილის-შვილს წარმოდგენაც არა აქვს იმისი, თუ ამ ორმოცის წლის წინათ მისი პაპა და პაპის მამა უფრო ტკბილს და კმაყოფილს ცხოვრებაში იყო, ვიდრე დღეს ის არის. ნაცვლად ამისა დღევანდელი აქაური გლეხი ისე შევიწროებულია, ისე გაღარიბებული, ისე გატეხილია წელში, რომ იმედი და სასოება მომავალზედ სრულიად დაკარგული აქვს. ან-კი რა ცხოვრებაა ის ცხოვრება, რომ თვე ისე გავა, აქაურმა გლეხმა სველი ლუკმა ვერ ნახოს, თვე გავა, რომ ღვინოს ვერ უსუნოს, თვეები გაივლის, რომ საცვალი ვერ გამოიცვალოს! სად ცხვრის და ღორის ფარა, სად ძროხისა; სახლი ცარიელი, ბეღელ-მარანი ცარიელი, ჯიბე ცარიელი. უკიდურესს სიღარიბეს და ზოგიერთა გაიძვერა სოფლის მოსამართლეთა უსინიდისო ქცევას ისე შეუშინებია აქაური გლეხი, ისე დაუხშია მისი გონება, რომ არ იცის რა ჰქმნას, ვის მიჰმართოს საშველად, ვის მიენდოს! მიუნდვია თავისი საცოდავი თავი გაიძვერა მოხელეებისათვის საჭმელად, მოუდრეკია მონურად მათ წინაშე ქედი და მისცემია სრულს უიმედობას. მოხელეებიც, ამ მდგომარეობით გათამამებულნი, სწეწენ, ღრღნიან და სთლიან რავდენიც და როგორც უნდათ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ მათი ბოროტ-მოქმედებანი ულველთვის ბურუსით იქმნებიან დაფარულნი. მაგრამ უმჯობესია ფაქტებს მივმართოთ და დასკვნის გამოყვანა მკითხველს მივანდოთ. ოცს ამ თვეს ჯიმითის მამასახლისთან ერთმა გლეხმა იჩივლა, რომ სამი-ოთხი დღის წინად, როცა მე სახლში არ ვიყავ და ჩემს ცოლს გარეთ ეზოში ეძინა, მთვარის ჩასვლის შემდეგ, ცას რომ სიბნელე მოჰფენოდა, ჩემი მეზობელი ო.... მისულა ჩემის ცოლის ლოგინთან ცუდის განზრახვითო. მომჩივანმა სთხოვა მამასახლისს გლეხი დასაჯეთო.

მამასახლისმა დაიბარა გლეხი ო.... და ცოლი მომჩივანისა, ჩამორთვა დედაკაცს ჩვენება, რომელიც ამ ნაირის შინაარსისაა: „მთვარე რომ ჩავიდა და ცას სიბნელე მოეფინა, იმ დროს ჩემის სახლის ბოსთან ვიღაც კაცი იყო ატუზული; რომ დავინახე, შიშმა აიტანა, ენა ჩამივარდა და აქვე მწოლარე მეზობელ დედაკაცთან მივბობღდი, გავაღვიძე და უთხარი, რომ ჩემ ლოგინთან ო.... არის მეთქი; მეზობელი დედაკაცი მაშინვე გამომყვა, მაგრამ კაცი აღარ დაგვხვდა, მის მაგიერ ბოძი იდგა“.

„რა ჰქნა იმ კაცმა? ჰკითხა მამასახლისმა.

— არაფერი ცუდი მოქმედება არ ჩაუდენია, უპასუხა ქალმა.

„რა გითხრა მაინც?“ ჰკითხა ხელმეორედ მამასახლისმა.

— არაფერი არ უთქვამს, ისე წავიდა თავისის სახლისაკენ, უპასუხა დედაკაცმა.

„როგორ გაარჩიე, რომ ო.... იყო; თუ ბნელოდა?“ ჰკითხა მამასახლისმა.

— წინა დღეს მკითხა, რომ ამაღამ შენი ქმარი მოვა, თუ არაო? და ამის გამო ვფიქრობ, რომ ო....ე უნდა ყოფილიყო.

ეს უკანასკნელი საბუთი მამასახლისმა სამართლიანად სცნო და თქვენ მტერს დაადგეს ის დღე, რაც იმან მათრახით ამ საცოდავ კაცს დღე დააყენა. საცოდავი ჰფიცავდა ღმერთს, რჯულს, მე არაფერი ვიცი, არა ვყოფილვარ, მეშიშობისაგან დაღლილი მკვდარივით ვეგდე, ნუ მცლავთო. მაგრამ ვინ გაუგონა, აქვე გახლდათ მეველი ნამამასახლისარი, რომელმაც მადა გაახსნა ცემისა და ერთი ლოდი იმანაც უთავაზა ამ საცოდავს და თან მიაძახა „მოჰკალით ეგ მამა.... სასიცოცხლო არ არისო“. ცემის შემდეგ შეაგდეს ტუსაღად გომში, სადაც მთელი დღე მშიერ-მწყურვალი ეგდო; ეს არ აკმარეს: მოსთხოვეს ფული, ვითომ საუზატიოში და დაემუქრნენ, სანამ ფულს არ წარმოადგენს, გომიდან გამოსვლა არ გეღირსებაო. საცოდავი ეღდა ნაცემი ამ კაცის ცოლი და მოხუცებული დედა აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ვერაფერს გახდნენ, უფულოდ კაცი ვერ დაიხსნეს. მეზობლის ხელით გაუგზავნეს რვა მანეთი ფული და ხუთმეტი შოთი. ეს რვა მანეთი საწყალ კაცს მოემზადებინა სახელმწიფო ფულის გადასახადად, მაგრამ რაკი ასეთი ცხელი დღე დაადგა, რაღას იზამდა, თავი უნდა გამოესყიდნა. მიართვეს ეს რვა მანეთი მამასახლისს, რომელმაც ამნაირად განაწილა: სამი მანეთი მისცა მომჩივან დედაკაცის ქმარს, სამი მანეთი თვითონ ჩაჯიბა, ერთი მანეთი ერთს სოფლის მოსამართლეს შეჰგდა, მეორე მეორეს. როგორ ფიქრობ, მკითხველო, გათავდა ამით ამ გლეხის ტანჯვა? იფიქრებ: მაშ რაღა უნდა ექნათ კიდევაო? ხუთმეტი პური ტყუილად არ მოატანინეს: ეს გახშმისათვის იყო საჭირო. ხადამო მოახლოვებული იყო და ყველა მოსამართლენი, მომჩივან-მოპასუხე და ორიოდ სხვა მადა გახსნილი კაცი დუქანს მიადგნენ, სადაც მოპასუხე იძულებული გახადეს სამ მანეთ ნახევრით ღვინო-არაყი ჩამოესხა და მოსამართლეებისათვის და მომჩივანისათვის „პატივი ეცა“. აქ გათენებამდის „არხაილო“ იძახეს და განთიადისას ჯიბე ცარიელი მოპასუხე გამოისტუმრეს. ამით გათავდებოდაო იტყვის მკითხველი, მაგრამ ბოროტი ენები ამბობენ, რომ მომჩივანიც იძულებული გახადეს ერთი მანეთის ღვინო ჩამოესხა. ეს მართალია თუ არა, ვინ იცის. აი სამართალი: „ჩქარი, მოწყალე და სწორე“. არც საქმის დაკვირვება, არც დაწვრილებით გამოკითხვა, არც „აპელაცია“, არც „კასაცია“, ჩივილი და სამართლის გაჩენა ერთ საათს მოხდა. როგორც გავიგე ამ ნაირის სამართლის გაჩენა პირველი არა ყოფილა; წინათაც მომხდარა რამდენჯერმე ამგვარი მაგალითი. ადგილობრივ მღვდელს, რომელთანაც ეს გლეხი ო....ე იყო მნათედ ათითორმეტი წლიწადი, ვკითხე: „ნუ თუ ამგვარი მოქმედების ჩამდენი არისთქო?“ მან მიპასუხა: „მე შემიძლიან დავიფიცო, რომ მაგისთანა უსინდისობის ჩადენა მაგას არ შეეძლო“. იგივე თქვეს მეორე ამავე სოფლის მღვდელმა და მეზობლებმა. საკვირველი და სამწუხარო კიდევ ის გარემოება არის, რომ ეს უბედური გლეხი ისე შეშინებული ყოფილა, რომ ვერ ბედავს თავისი თავი დაიცვას და ან ადგილობრივ ბოქაულს მიჰმართოს, ან მაზრის უფროსს და თავისი უბედურება მათ გაუნუცხადოს.

როცა ვკითხე: „რატომ ბოქაულს არ მოახსენებ ამ ამბავს?“ იმან მიპასუხა: „ვიცი, შემდეგ უარესს დღეს დამაყენებენ და ჯანი გავარდეს მაგ თუმანთერთმეტ მანეთის; სახელმწიფო გადასახადს მეტს შემაწერენ. ბეგარაზე მალმალ გამგზავნიან და უფრო მეტი ზარალი მომეცემა; ეხლა კიდევ აბა ვისა სცალიან ბოქაულთან საჩხენად, ყანას მაღლი და ღორი მიჭამს, რა ვქნა, უსიდა მოვითმინო!“

მეორე მაგალითი. სოფელს აქვს პურის მაღაზია, სადაც ყოველ წლიწადს მცხოვრებლებს თვითეულს სულზე განსაზღვრული წონის პური (ათი გირვანქა) შეაქვთ შესანახად იმ აზრით, რომ, როცა დასჭირდებათ, მაშინ გამოიტანონ სესხად. მაგრამ ეს ფრიად მშვენიერი და სასარგებლო დაწესებულება მოხელეების ჯიბის გასასქელებლად გამხდარა. წელს, როგორც მოგეხსენებათ, შიმშილი იყო მთელს კახეთში. ამ უბედურებას არც ჯიმითელები ასცდნენ. კოდი პურის ფასმა ოთხ მანეთს ზევით აიწია. ამ ფასად თქმა იყო და შოვნა არა. ღარიბ ხალხს დიდი იმედი ჰქონდა თავისის პურის მაღაზიისა. ამ წლის გაზაფხულზე, როცა პურის ფასმა უფრო აიწია, უღარიბესი მცხოვრებლები გაეშურნენ პურის მაღაზიისაკენ და მამასახლისს სთხოვეს პურის მოცემა, მაგრამ, წარმოიდგინეთ გაოცება ამ უბედურებისა, როცა მამასახლისმა გამოუცხადათ, რომ პურის მაღაზიაში არც ერთი მარცვალი არ მოიპოვებაო.

— როგორ თუ არ არის?! შეჰყვირეს გლეხებმა: ჩვენი ხვედრი პური რა იქნა? ვის მიეცით? პასუხის მაგიერ მამასახლისმა კარგა ლაზათიანად გალანძღა და უკან გაისტუმრა.

პური მაღაზიიდან მამასახლისს დამე უზიდნია და სხვა სოფელელ ხალხზე უყიდნია კოდი ოთხ მანეთად და ერთ აბაზად, თუმცა გამოცხადებული ჰქონია მთავრობისაგან, რომ კოდი ცხრა აბაზზევით არ გაეყიდნა და ასე გაყიდულის პურის ფასი ხაზინაში შეეტანა სოფლის სახელზე. ასე ნამალევად გამოტანილი ათი კოდი კიდევ ნახა შვიდმა კაცმა ერთის კაცის [illegible] ჰკითხეს ამ კალოს პატრონს, ვინ მოიტანა ეს პურიო? მან უპასუხა: „წუხელის მამასახლისმა მოიტანა, სხვა სოფლელ კაცზე გაუყიდნია, ხვალ დაქირავებული ურემი მოვა და წაიღებსო. მართლაც ეს პური წაიღეს სადღაც. ამ საქმის გამო ორი გლეხი საჩივრის განცხადებას აპირებს მაზრის უფროსთან. იმედი გვაქვს, რომ მაზრის უფროსი ამ საჩივარს სასტიკ ყურადღებას მიაქცევს, საფუძვლიანად გამოიძიებს და დამნაშავეს ჯეროვანად დასჯის. იმედია მაღაზიის რევიზიასაც მოახდენს, რითაც, დარწმუნებული ვართ, მრავალი უწესოება აღმოჩნდება.

ამ ორი წლის წინათ სოფელს ას თუმანზე მეტი ფული დააკლდა და იგი „ნედოიმკად“ ეწერებოდა, მაგრამ ხალხმა დრტვინვა დაიწყო ამ ფულის მეორედ გადახდაზე; ამოირჩია ოთხი-ხუთი სინდისიანი კაცი, რომელთაც უნდა შეემოწმებინათ შესავალ-გასავლის დავთრები. შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა თურმე, რომ სოფლის მოხელეების ხელში გამქრალა ას თუმანზე მეტი ფული. თუ ამ ოთხი სინდისიანი კაცის შემოწმება საფუძვლიანი და სწორეა, მიკვირს, ის მოხელეები აქამდის როგორ დასეირნობენ სოფლად და ეძებენ კიდევ მარჯვე შემთხვევას, რომ ხელახლად ხელი მოითხონ ღარიბის სოფლის ნაოფლარით. საჭიროა ამ საქმესაც ნათელი მოეფინოს და დამნაშავენი სამაგალითოდ დაისაჯნენ.

თ. ზიარელი

## რუსეთი

—

წელს პეტერბურგის დედათა ინსტიტუტში შესვლის სურვილი განაცხადა თურმე 450 ქალმა და პირველ კურსზედ-კი მიღებულ იქმნება მხოლოდ 150 ქალი.

— განზრახვა აქვთ შუამდგომლობა აღძრან ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ 1902 წელს გამართულ იქმნას მთელის რუსეთის სამთამადნო საგნების გამოფენაო.

— ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა იმ კომისიამ, რომელიც მიწვეულ იქმნა შემნახველ კასსების მთავარ-სამმართველოსთან სასკოლო კასსების დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. განზრახვა აქვთ მომავალ წელს დააარსონ სკოლებთან შემნახველი კასსები.

— რუსეთის ზოგიერთ დამზღვევ საზოგადოებას აზრადა აქვს შემოიღოს იმ შინაურ პირუტყვის დაზღვევა, რომელიც მუდამ საჭიროა სასოფლო მეურნეობისათვის.

— პეტერბურგის სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტის მთავრობამ ამ დღეებში მოსპო იმათ თხოვნების მიღება, რომელთაც ამ ინსტიტუტში ჰსურდათ შესვლა, რადგან უკვე 200 კაცმა წარუდგინა თხოვნა, რომ ინსტიტუტის სტუდენტთა შორის ჩაგვრიცხეთო და თავისუფალი ადგილი-კი მხოლოდ 40 კაცისათვის არის.

## უცხოეთი

—

**ესპანია და შეერთებული შტატები**. კუბის გენერალ-გუბერნატორმა მარშალმა ბლანკომ ახალი პრო-

კლამაცია გამოსცა. ამ პროკლამაციაში მარშალი აცხადებს, რომ სხვა სახელმწიფოებმა ძალა დაატანეს ესპანიას და აიძულეს რომ ომი მოესპო და ზავი მოეთხოვა. რადგანაც არ შეგვიძლიან ერთსა და იმავე დროს რამდენსამე სახელმწიფოს ვე ბრძოლოთ, ამიტომ უნდა დავემორჩილოთ მათ ბრძანებასაო. ამ რიგად ომი დასრულდა, ჯარი საჭირო აღარ არის. ამერიკა დაგვპირდა, ყველას, ვინც მოისურვებს, ესპანიაში წასვლის ნებას მივცემთო. დასასრულ ბლანკო აცხადებს, რომ ვანთავისუფლებ ყველა იმას, ვინც საპოლიტიკო დანაშაულობისა გამო დაპატიმრებული იყოო. ჯერ-ჯერობით განთავისუფლებულ იქმნა 150 კაცი.

— გაზეთები იუწყებიან, რომ აგვინალდოს აზრადა აქვს სხვა სახელმწიფოებში ელჩები გაგზავნოს, ამასთან სთხოვოს ამ სახელმწიფოების მთავრობას, რომ ფილიპეს კუნძულები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ სცნონ. კუნძულების ახალმა მთავრობამ უკვე დანიშნა სხვა-და-სხვა პროვინციაში გუბერნატორები. ამბობენ, რომ ამ ახლად გამომცხვარ მთავრობის წევრებს ერთმანეთში ჩხუბი და უთანხმოება ძალიან ხშირად მოსდითო. მრავალია თურმე თვით წინამძღოლის აგვინალდოს წინაამდეგიც.

— რაკი კუბა და პორტო-რიკო ხელიდგან გამოეცლება ესპანიას, ამ სახელმწიფოს ვაჭრობა-მრეწველობა ერთი ორად შემცირდება. დღემდის ესპანია ანტილიის კუნძულებში 160 მილიონ პეზეტის (პეზეტი—23 კაპეიკია) საქონელსა ჰგზავნიდა, მათ შორის 100 მილიონის—ქსოვილსა, ფქვილსა, ფეხსაცმელსა, საწერ-ქაღალდსა და სხვას. ამ საქონელს, ზავის დადების შემდეგ, ესპანიის ნაცვლად, ამერიკა გაჰგზავნის ანტილიის კუნძულებში. ვაჭრობის ასეთის შემცირებისა გამო ესპანიაში მრავალი ქარხანა დაიკეტება. მარტო კატალონიაში 2500 მეტი სხვა-და-სხვა ქარხანაა, კასტილიაში—955, არაგონიაში—555, რომელნიც თავიანთ საქონელს ანტილიის კუნძულებში ჰგზავნიდნენ. დღეიდგან ამ ქარხნების ნაწარმოებს ბაზარი აღარ ექმნება.

— ესპანიის სხვა-და-სხვა ქალაქიდგან იუწყებიან, რომ კარლისტებმა უკვე მოამზადეს ხალხი და შეიძლება ამ ახლო მომავალში ამბოხებაც მოახდინონო. ბარცელონის პროვინციის კარლისტებს აუარებელი ტყვია-წამალი და 18,000 თოფი შეუძენიათ. საომარი იარაღი დამალული ჰქონიათ ბერმეოსა და სომაროსტროში. აგრეთვე ბელგიაშიაც ფულს კარლისტებს უმთავრესად ბერები და იეზუიტები აძლევენ თურმე. ერთის გაზეთის თანამშრომლისთვის უთქვამს ერთ წარჩინებულს კარლისტს, რომ ამ ჟამად ჩვენ საკმაო ფული გვაქსო. ეს ფული ფილიპეს კუნძულების ბერებმა მოგვცესო. თვით ტახტის მაძიებელს დონ-კარლოს ამ დღეებში მოელიან თურმე ესპანიაში.

—

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მეორეს აზრადა ჰქონდა თავ. ბისმარკის გვამი ბერლინში დაესაფლავებინა სწორედ იმ ადგილას, რა ადგილასაც ვილჰელმ პირველის გვამია დასაფლავებული, მაგრამ განსვენებულის თავადის ოჯახმა უარი განაცხადა, თვით ბისმარკმა ანდერძად დაგვიტოვა აქვე ფრიდრიხსრუეში დამასაფლავეთო. გარდა ამისა, ვილჰელმს უნდოდა დასაფლავება დიდის ზარითა და ზეიმით მოეწყო. ამ აზრით იმპერატორმა ბრძანება გასცა სადღესასწაულოდ მოეწყო ის ქუჩები და მოედნები, რომელზედაც მიცვალებულის გვამს გაატარებდნენ. ცალკე კომისიაც-კი შესდგა, რომელსაც ამ დასაფლავების საქმე ჰქონდა მინდობილი; კომისიის წევრებად იმპერატორის მიერ, სხვათა შორის, დანიშნულ იქმნენ შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი პოსადოვსკი, თავადი გოგენგლოე-ერინგენი და სხვანი. მაგრამ ბისმარკის სახლობამ უარი განაცხადა. ამ რიგად, სწერენ გაზეთები, ბისმარკმა სიკვდილის შემდეგაც-კი არ მოიწადინა იმპერატორ ვილჰელმთან შერიგებაო.

— დღემდის თავ. ბისმარკს ცუდად იხსენიებდნენ მარტო საფრანგეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ჟურნალ გაზეთები, დღეს-კი თვით გერმანიის ჟურნალ-გაზეთების უმეტესობაც აღარ ინდობს რკინის კანცლერს. უკვე გვქონდა მოყვანილი სოციალ-დემოკრატთა ზოგიერთის გაზეთის აზრი; მაგრამ ისე სასტიკად არც ერთს გაზეთს არ გაუკიცხავს ბისმარკი, როგორც მას გაზეთი „Yorwats“-ი ჰკიცხავს. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ეს გაზეთი: „გაზეთები წამ და უწუმ სწერენ, რომ ბისმარკის გარდაცვალებას მთელი გერმანია ჰგლოვობსო, მთელი სახელმწიფო სამგლოვიაროდ შეიმოსაო. ამაზედ მეტად მთელის სახელმწიფოს სასაცილოდ და სამასხაროდ აგდება შეუძლებელია. ვინა ჰგლოვობს ბისმარკის გარდაცვალებას? კათოლიკენი, რომელნიც რკინის კანცლერმა გერმანიიდგან გარეკა, ლიბერალები, რომელთაც ბისმარკი სდევნიდა, სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ჭირივით ეჯავრებოდა, თუ მუშები, რომელთაც სიავის მეტი არაფერი ახსოვთ ბისმარკისაგან? არც ერთი არა ჰგლოვობს ბისმარკს. მაშ ვიღა დარჩა? მხოლოდ „იუნკრები“, რომელთათვისაც იშრომა და ილვაწა რკინის კანცლერმა. ყველაზედ საკვირველი ის არის, რომ ბისმარკი რაღაც ღმერთად გამოჰყავთ, მათის აზრით ისტორია ბისმარკმა შეჰქმნა“.

არც კათოლიკეთა ჟურნალ გაზეთები არიან კარგის აზრისა ბისმარკის შესახებ. „ჩვენ ბისმარკის იმ თაყვანის მცემლებს არ გეკუთვნით, სწერს მათი გაზ. „Germia“, რომელთაც ეს კაცი ზეცამდი აჰყავთ. ბისმარკში მარტო კარგ მხარეს ხედავენ და ყურადღებას არ აქცევენ ნაკლულევანებას, რომელიც ორჯელ თითქმის მეტი მოიპოვებოდა მასში. დღესაც გვახსოვს, რომ ბისმარკი ჩვენი დაუძინებელი მტერი იყო, რომ ის „ცეცხლითა და მახვილით გვდევნიდა!“

ფრანგულმა გაზეთმა „Patrie“-მ ხომ ყველას გადააჭარბა. ეს გაზეთი ამბობს: „ბისმარკი იყო მეტად ურცხვი და თავხედი თვალთ-მაქცი, ელზასისა და ლორენის ჯალათი, ავაზაკი, რომელსაც არა სწამდა არც სარწმუნოება და არც კანონი“.

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან, რომ ქურთები ხელ-ახლა დაეცნენ აბლატის ოლქის სომხებსაო. ქურთები რვა სოფელს შეესევიან და მრავალი სომეხი ამოუწყვეტიათ.

—

**ავსტრია.** ავსტრიის შინაური საქმეები რაც დრო გადის, უფრო და უფრო იწეწება. გაზეთები იუწყებიან, რომ ჩეხების მაგალითს ავსტრიის სხვა ერთაც მიჰბაძეს და მოითხოვეს, რომ იმათი ენა ნემეცურ ენასთან გათანასწორებულ იქმნასო. ასეთის მოთხოვნილებით უკვე მიუმართავს მთავრობისათვის სლოვაკებსა, ხორვატებსა, სერბებსა და სხვათა. ამ დღეებში სლოვიანთა ერების წარმომადგენლებს ამის შესახებ ვენაში მოლაპარაკება ჰქონიათ ურთი-ერთ შორის და მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ ტუნთან. სლოვიანები თხოულობენ, რომ თანასწორი უფლება მიენიჭოს ნემეცურსა და ადგილობრივ ენებს შემდეგ პროვინციებში: შტირიასა, კარინტიასა, კარნიოლესა, ისტრიასა და დალმაციაში.

## დამაკვირდი

მეირის მომქმედნი მეირმან მოიპადირნა.

ვახტანგ გორგასალ.

* * *

უცოდინრობა აგია,
მაქვს მისი გამოცდილობა.

დავით გურამიშვილი.

* * *

თუ ცოტა არ მოღამდა, ვარსკვლავები თავს ვერ იჩენენ.

აკაკი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ბოლოს დროს ტეხნიკა იმდენად განვითარდა, რომ რკინის გზები ისეთ ადგილებში გაჰყავთ, სადაც წინად ბილიკის გაყვანაც შეუძლებლად მიაჩნდათ. რკინის გზას თითქმის ვეღარაფერი უდგება წინ, უზარმაზარი გვირაბები გათხარეს, საშინელი კლდეები გაარღვიეს, უშველებელ მდინარეებზედ თვალ გადუწვდენელი ხიდები გასდეს, რომლებზედაც თავისუფლად დასრიალებენ მატარებლები. ასე გასინჯეთ ეხლა თოვლიან მთების მწვერვალებზედაც-კი აპირებენ რკინის გზების გაყვანას. საფრანგეთის ერთს ინჟინერს გამოუკვლევია, მაგალითად, რომ მონბლანის მწვერვალამდისაც შეიძლება რკინის გზის გაყვანაო. მონბლანი ევროპის უმაღლესი მთაა. იგი სწორედ მყინვარის (ყაზბეგის) სიმაღლეა და ისეთივე წოწოლოტინა, როგორც ეს უკანასკნელი. ამ ჟამად მონბლანის თავზედ ობსერვატორიაა გამართული. თუმცა ამ მთაზედ ასვლა ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც ყოველ ზაფხულს ბევრი ხალხი ადის. თუ რკინის გზა გაიყვანეს, მაშინ აუარებელი ქალი და კაცი მიაწყდება ამ გზას და მოიწადინებს მთაზედ ასვლას.

* * *

1900 წლის პარიჟის გამოფენაზედ, სხვათა შორის, გამოფენილი იქნება ერთი ახალი მეტად შესანიშნავი საკრავი იარაღი, რომელსაც სახელად ეწოდება „ავტო-ელექტრიდ-პოლიფონი“. ამ საკრავის გამომგონი ვიღაც აუზონიო ციბორდი ძალიან მდიდარი კაცი ყოფილა და 15 წელიწადი უშრომნია იმის გამოგონებაზედ. თვით საკრავი ერთსა და იმავე დროს ყველა ნაირი საკრავის, როგორც მაგალითად, პიანურისა, ფორტო-პიანოსი, ვიოლონჩელისა და სხვათა როლს ასრულებს. საკრავი მეტად დიდია და 80,000 სხვა-და-სხვა ნაწილისაგან შესდგება თურმე. გამომგონს ეს საკრავი 60 ლირი (იტალიანური ფული, უდრის 25 კ.) დასჯდომია. ამ საკრავისათვის ორი დინამო-მანქანა არის გამართული, ერთი ანათებს, მეორე კიდევ უკრავს. საკრავს შეუძლიან ორკესტრის მაგიერობა გასწიოს და მთელი ოპერების მუსიკა შეასრულოს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 აგვისტო

**ლევაშევო.** 3 აგვისტოს დაიწყო პეტერბურგისა და ფინლანდიის სამხედრო ოლქების ჯარის აღლუმები. დილის 9 საათზედ მათი უდიდებულესობანი სად. ლევაშევოში მოვიდნენ, ხოლო იქიდგან ეტლით კეკსგოლმსკის გზა ტკეცილზედ. ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, დიდი მთავრის ასული ელენე ვლადიმერის ასული ცხენებზედ შებრძანდნენ და სოფ. დრანიშნიკოვოსაკენ გაემართნენ, სადაც ბრძოლა გაიმართა. პირველ საათზედ აღლუმი დასრულდა. შემდეგ მინდორში უმაღლესი საუზმე იქმნა გამართული. საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი ელაგინის სასახლეში წაბრძანდნენ.

**სიმბირსკი.** ალატირსკის მაზრის სოფ. პორეცკოში ცეცხლმა 320 სახლი გაანადგურა.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთმა, ოსმალეთის უკანასკნელ ნოტის საპასუხოთ, გადაჭრილი უარი შეუთვალა ოსმალეთს იმისა, რომ ძველის ჯარის ნაცვლად კრიტში ახალი ჯარი იქმნას გადაყვანილი, აქ ჰფიქრობენ, რომ ასეთსავე პასუხს გამოუგზავნის ოსმალეთს სხვა, ამ საქმეში დაინტერესებული, სამი სახელმწიფოც.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო 1898 წლის ივლისის თვის განმავლობაში:

ა) საწევრო ფული

| | |
|---|---|
| 1) ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილისაგან 1897—1898 წ. | მ. 12 კ. „ |

და ბ) შემოწირულობანი:

| | |
|---|---|
| 1) სოლომონ იოსების ძე ნაცვლიშვილისაგან . . . . . | 1 15 |
| 2) „Надежда“-ს დამზღვევ საზოგადოების აგენტის ივანე ჯაბადარისაგან . . . . . . . | 10 35 |
| სულ . . . | 11 50 |

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცეიმოლის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ადმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—21)

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე შედის | გამოდ. | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე შედის | გამოდ. | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე შედის | გამოდ. | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე შედის | გამოდ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8 33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2.58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5 00 | 11.47 | 12.02 | 5 26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2 55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7 39 | 7.49 | 9.14 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

შენიშვნა: მსხვილ ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა ჰნიშნავს, უხაზო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდს დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

### რკინის გზის საგარეუბნო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორე მცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ქობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 5 го Іюля. 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.